# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №79

ქ. თბილისი 12 დეკემბერი 2016 წელი

ერთი მხრივ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი აპარატის უფროსის რევაზ გერგედავას სახით და მეორე მხრივ, შპს „ტექნო ბუმი" (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ეთერ ქოქოლაძის სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემგომში "ხელშეკრულება") შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების შესყიდვის საგანს წარმოადგენს (გამარტივებული შესყიდვის საშუალებით) **"მაცივრები"-ს** (CPV კოდი: 39711130) შესყიდვა ("სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე).

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **389 (სამას ოთხმოცდაცხრა)** ლარს.

2.2 შესასყიდი საქონლის ერთეულის ფასი შეადგენს **389** ლარს.

2.3 შესასყიდი საქონლის რაოდენობა 1 ცალი.

## 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს, მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

## 4. მიღება-ჩაბარების წესი

საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## 5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1 საქონლის მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას #16.

5.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 15 დეკემბრამდე.

## 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი: ჯ. ლეთოდიანი, ზ. გახარია, ა.გუნჯუა.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4 მიწოდებელი ვალდებულია მოთხოვნისამებრ განახორციელოს საქონლის მიწოდება. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე.

## 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრამდე.

## 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

| | |
|---|---|
| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
| აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო | შპს „ტექნო ბუმი“ |
| მის: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას #16 | მის: ქ.თბილისი,ვაჟა-ფშაველას N21 |
| საიდენტიფიკაციო კოდი 249250484 | საიდენტიფიკაციო კოდი 205286199 |
| სახელმწიფო ხაზინა | სს "საქართველოს ბანკი" |
| ბანკის კოდი: TRESGE22 | ბანკის კოდი: BAGAGE22 |
| ხაზინის ერთიანი ანგარიში | ა/ა № GE15BG0000000943187800 |
| ტელ: 2374416 | ტელ: 2470325 |
| ---------- | ---------- |
| აფხაზეთის უმაღლესი | დირექტორი |
| [illegible] | [illegible] ქოქრაშვილი |